შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2025 წელი

კოლეჯი მდებარეობს ქ. გორში, მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზ. **N9**

კოლეჯის შესახებ

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი 22 წელია პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანოვბას ეწევა . თავდაპირველად კოლეჯი საზოგადოებამ "სუხიშვილის უნივერსიტეტის" ბაზაზე არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით გაიცნო.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი დაფუძნდა 2011 წელს და 2012 წელს გაიარა ავტორიზაცია. 2018 წლის 29 იანვარს კოლეჯმა წარმატებით გაიარა რეავტორიზაცია საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსით და 6 წლის ვადით მოიპოვა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება.
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი ახორციელებს ჯანდაცვისა და ვეტერინარიის მიმართულებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. კოლეჯი უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, სასწავლო სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინოებით და ქმნის საუკეთესო გარემო- პირობებს პროფესიული სტუდენტებისათვის.

კოლეჯის შესახებ

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯმა ამაგმა მოიზიდა მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმებას შრომით ბაზარზე.
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი ორიენტირებულია საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შესთავაზოს დაიტერესებულ პირებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები პირს მისცემს შესაძლებლობას გამოუმუშაოს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ასევე, წამყვან ორგანიზაციებთან თანამშრომლობა დარგის მიმართულებით ხელს უწყობს პრაქტიკული მეცადინეობა განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში.
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი პროფესიული კოლეჯების ასოციაციის წევრია. აქტიურად მონაწილეობს პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვასა და სრულყოფაში.
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი არის შიდა ქართლის რეგიონში მოქმედი ერთადერთი კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მომზადებას.

კოლეჯის მისია

განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამები, რომელთა განხორციელებით მოამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტებს და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში;

შექმნას უსაფრთხო და ჯანსაღი სასწავლო გარემო, სადაც თანასწორობის პრინციპების დაცვით თითოეული პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ისწავლის განსხვავებული აზრის პატივისცემას.

კოლეჯის ხედვა

ხედვა:

2030 წლისთვის შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განხორციელების მეშვეობით შრომის ბაზარსუზრუნველყოფს კვალიფიციური კადრით.

კოლეჯის ღირებულებები

ხარისხზე ორიენტირება - კოლეჯი ითვალისწინებს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას;

სოციალური პასუხისმგებლობა - კოლეჯს წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით.

თანამშრომლობა - კოლეჯს აქვს მჭიდრო კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან;

გუნდურობა - კოლეჯის პერსონალიიზიარებსგუნდური მუშაობისპრინციპებს;

გამჭვირვალობა - კოლეჯში დაცულია საჯაროობის პრინციპები;

მოქნილობა - კოლეჯი ეფექტურად და ეფექტიანად რეაგირებს არსებული გამოწვევების დროს;

სამართლიანობა - კოლეჯი ეყრდნობა შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დამფუძნებლები

ეკატერინე სუხიშვილი

განათლება:

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სპეციალობა - სამკურნალო საქმე;
- მოსკოვის სახელმწიფო სტომატოლოგიური უნივერსიტეტი, სამკურნალო ფაკულტეტი, მეანობა-გინეკოლოგია, ექიმი;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მედიცინის დოქტორი;

სამუშაო გამოცდილება:

- შპს კოლეჯი „ამაგი“
- დირექტორი 1999-2008
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
- დირექტორი 2012-2017
- შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
- რექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარების დარგში
- 2011-2018
- შპს „მეცნიერებათა სკოლა“დირექტორი 2021 დან დღემდე

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დამფუძნებლები

რუსუდან სუხიშვილი

განათლება:

- საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, მცენარეთა დაცვის ფაკულტეტი; სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია;

სამუშაო გამოცდილება:

- გორის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი,დირექტორი 1985-1990;
- შპს გორის საერო უნივერსიტეტი,პრორექტორი 1990-1994;
- შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, (მრავალპროფილიანი მცირე აკადემია),პრორექტორი 1995-2011;
- შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი 2011-2017;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორი

სოფიო სუხიშვილი

განათლება:

- ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,სამართლის ბაკალავრი
- ნოტინგემ ტრენტის საერთაშორისო კოლეჯი. ნოტინგემი, დიდი ბრიტანეთი. სადიპლომო კურსი სამართლებლივ კვლევებში.
- ნოტინგემ ტრენტის უნივერსიტეტი. ნოტინგემი,დიდი ბრიტანეთი,საერთაშორისო საჯარო სამართლის მაგისტრი;
- უმაღლესი მენეჯმენტის აკადემია. გრენობლი, საფრანგეთი, საერთაშორისო სამართლის დოქტორი;

სამუშაო გამოცდილება:

- ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი 2014-2017
- რექტორის მოადგილე 2017-2018
- რექტორი 2018-2019
- შპს „მეცნიერებათა სკოლა“
- დირექტორი/ დამფუძნებელი2019-2021
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
- დირექტორის მოადგილე 2021-2024

კოლეჯის ძლიერი მხარე

- მრავალწლიანი გამოცდილება და კარგი რეპუტაცია;
- თანამედროვე ინფრასტუქტურა და უსაფრთხო გარემო;
- სასწავლო რესურსების შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა
- კვალიფიციური და მოტივრებული პერსონალი ;
- შრომის ბაზრის შესაბამისი პროგრამების განხორციელება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- მრავალფეროვანი ექსტრაკურიკულური აქტივობები.

წარმატებული პროექტები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება.

- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური
- განაყოფიერება„
- შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა)
- მოვლის მომსახურების სპეციალისტი„
- კალმახის მოშენების სპეციალისტი“
- გერიატრიული ასისტენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

- სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებით 2023 წელს კოლეჯს 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება:
- საექთნო განათლება
- ვეტერინარია
- ფარმაცია(სააფთიაქო)
- დენტალური საქმის ასისტირება(სტომატოლოგის ასისტენტი)
- მასაჟის თერაპია

საექთნო განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საექთნო განათლება

- მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
- პროგრამის მიზანი: პროფესიული პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება.

საექთნო განათლება

- კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:
- საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურება

საექთნო განათლება

სწავლის შედეგები:

- შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
- განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
- განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება

საექთნო განათლება

- პროგრამის ხანგრძლივობა: სამი წელი
- პროგრამის მოცულობა იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია - 180 კრედიტი;
- პროგრამის მოცულობა იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია (აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით) - 210 კრედიტი.

კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI



კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI

ფარმაცია(სააფთიაქო)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ფარმაცია(სააფთიაქო)

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy"
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღება და განთავსება, ნაშთების პერიოდულ კონტროლი, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობა, მცირე შეფუთვებად მზა სამკურნალწამლო ფორმის დაფასოება, რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალების მომზადება და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია.

ფარმაცია(სააფთიაქო)

- დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.
- ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

ფარმაცია(სააფთიაქო)

სწავლის შედეგები

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
- დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
- შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
- განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის შემომავალი, პერიოდული, საბოლოო კონტროლი;
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;
- მოამზადოს რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმები;
- გაითვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
- განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური სამკურნალწამლო ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად სამკურნალწამლო ფორმების დაფასოების შესახებ;
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

ფარმაცია(საფთიაქო)

- პროგრამის ხანგრძლივობა: ორი სასწავლო წელი
- პროგრამის მოცულობა იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია -123 კრედიტი;
- პროგრამის მოცულობა იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია (აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით) -153 კრედიტი.

კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI

ვეტერინარია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ვეტერინარია

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში/ Higher Vocational Qualification in Veterinary
- პროგრამის მიზანია უზრუნველყოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ვეტერინარი ტექნიკოსის მომზადება, რომელიც, უფლებამოსილების ფარგლებში,შეძლებს ცხოველთა მკურნალობას, მათდაავადებებსა და დაზიანებებზე რეაგირებას, საზოგადოებისა და პიროვნებებისთვის რჩევების მიცემას,ოპერაციის შემდგომ ცხოველთა მდგომარეობის მონიტორინგს, ამბულატორიულ მკურნალობას, ცხოველთა ხელოვნურად განაყოფიერების მიზნით ტექნიკური დავალებების შესრულებას, ვეტერინარისთვის ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემების დიაგნოსტირებისას რადიოგრაფების, ნიმუშებისა და სხვა ლაბორატორიული ტესტების შეგროვებაში დახმარებას, ვეტერინარი ქირურგის ასისტირებას, დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომ პროცესებში მონაწილეობას და სხვ.

ვეტერინარია

- დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება
- დასაქმებისსფერო და შესაძლებლობები ვეტერინარიაშიკვალიფიკაციისმფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვეტერინარულ კლინიკაში, ფერმერულ მეურნეობაში, ვეტერინარულ აფთიაქში, ზოოპარკში, ზოომაღაზიაში, ცხოველთა თავშესაფარში, ვეტერინარულ ლაბორატორიაში, საკონსულტაციო ცენტრებში, ვივარიუმში, ცხოველთა სასაკლაოზე, ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებში, ვეტერინარული პრეპარატების, ხელოვნური დათესვლის საწარმოებში, ცხოველური ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში. ასევე შესაძლოა იყოს თვითადასაქმებული.

ვეტერინარია

- პროგრამის ხანგრძლივობა: ორი სასწავლო წელი
- ვეტერინარიის პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია;
- პროგრამა მოიცავს 150 კრედიტს იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია (აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით).

კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI

დენტალური საქმის ასისტირებ (სტომატოლოგის ასისტენტი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

დენტალური საქმის ასისტირება(სტომატოლოგის ასისტენტი)

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული
- კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში / Secondary Vocational Qualification in Dental Studies
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სტომატოლოგის
- ასისტენტებს, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება შრომით ბაზარზე.
- დაშვების წინაპირობა სრული ზოგადი განათლება

დენტალური საქმის ასისტირება(სტომატოლოგის ასისტენტი)

დენტალური საქმის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სტომატოლოგის ასისტენტად, კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში, სტომატოლოგიურ კლინიკაში.

დენტალური საქმის ასისტირება(სტომატოლოგის ასისტენტი)

- პროგრამის ხანგრძლივობა: 1 წელი და 6 თვე
- პროგრამის მოცულობა იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, 85 კრედიტი
- პროგრამის მოცულობა იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, 115 კრედიტი (აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით)

მასაჟის თერაპია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მასაჟის თერაპია

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, დანერგოს ისეთი პროფესიული პროგრამა, რომელიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს კონკურენტუნარიან კადრებს, რომლებიც შეძლებენ, აღიჭურვონ ყველა იმ საჭირო თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, რაც განსაზღვრულია პროფესიის სტანდარტით.

მასაჟის თერაპია

- მასაჟის თერაპიის კვალიფიკაციის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს სამედიცინო დაწესებულებებში (საავადმყოფო, პოლიკლინიკა, დისპანსერი, რეაბილიტაციის ცენტრი/კლინიკა, სანატორიუმი); დაწესებულებებში, რომლებიც ემსახურებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს (პანსიონატები, დღის ცენტრები, ინვალიდთა სახლები); ესთეტიკური რეაბილიტაციის ცენტრებში, ჰიგიენურ სალონებში, სპა ცენტრებში (კურორტები: სანატორიუმი, სასტუმრო), ასევე ოფისები -კერძო კაბინეტებ საბავშვო დაწესებულებაში სამკურნალო ვარჯიშის და მასაჟის კაბინეტში (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, სკოლები, ცეკვის სტუდიები); სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში (სპორტული დარბაზები, სპორტული კლუბები, აუზები, ცეკვის სტუდიები); ბინაზე -მომსახურება შეიძლება გაუწიოს ექიმ-რეაბილიტოლოგის დანიშნულებითა და მეთვალყურეობით.

მასაჟის თერაპია

- პროგრამის ხანგრძლივობა: 1 წელი და 8 თვე
- მასაჟის თერაპია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 97 კრედიტს. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის “მასაჟის თერაპია” შესაბამისად.
- იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია მოცულობა: 127 კრედიტი

მასაჟის თერაპია